

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის

ქ. თბილისი

„15 11“ 2013წ.

ერთის მხრივ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (შემდგომში - „აკადემია“), წარმოდგენილი აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვეციანიძის სახით და მეორეს მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (შემდგომში - „სამინისტრო“), წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას სახით (შემდგომში წოდებული მხარეებად), გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და ერთმანეთის მიმართ პატივისცემას, საკუთარი უფლებამოსილებებისა და შესაძლებლობის ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

1. სამინისტრო:

- ა) წარუდგენს აკადემიას განსახილველად სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად სამეცნიერო-ტექნოლოგიური საკითხების ნუსხას (ჩამონათვალს);
- ბ) უზრუნველყოფს სათანადო მონაცემთა მიწოდებას (საპროექტო დავალების სახით);
- გ) დროულად გადასცემს აკადემიას ინფორმაციას ნორმატიული მოთხოვნებისა და ტექნიკური პირობების შესახებ, მათ შორის საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- დ) კონკრეტული შეკვეთების სახით, სახელშეკრულებო საფუძველზე შექმნის თანამშრომლობის რეალურ პირობებს და განახორციელებს აღნიშნულს სამხედრო მრეწველობის ორგანიზაციათა ჩართვით;
- ე) სამხედრო განათლებისა და კადრების მომზადების სფეროში, აკადემიის ფართო თანამონაწილეობით შეიმუშავებს ურთიერთთანამშრომლობის გეგმებს;
- ვ) აკადემიასთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ქ. თბილისში, სამხედრო მეცნიერების დარგში პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას.

2. აკადემია:

- ა) მოზილიზაციას გაუკეთებს თავის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პოტენციალს სამინისტროს ინტერესებში არსებული საკითხების გადაწყვეტისათვის;
- ბ) გამოხატავს მზადყოფნას თავისი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებაზე წინა პერიოდის სამხედრო ნაწილების მიერ გარემოსათვის მიყენებული ზიანისა და მავნე ზეგავლენის შესაძლო გაუვნებლყოფისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით აკადემია წარმოადგენს წინადადებებს მიკრობიოლოგიური მეთოდებით ნიადაგის გასუფთავებისათვის და აგრეთვე აუფეთქებელი ჭურვების (მ.შ. ტრინიტროტოლუოლის ბაზაზე) უსაფრთხო განადგურებისათვის;
- გ) ამ მემორანდუმის პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით იზიარებს პასუხისმგებლობას.
- დ) გამოხატავს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასა და ამაღლებაში.

3. მხარეები:

- ა) დაიცავენ მათ შორის განხილული საკითხებისა და სამუშაოების კონფიდენციალურობას;
- ბ) ამ მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტურად რეალიზაციისა და კოორდინაციის მიზნით, უზრუნველყოფენ:
 - ბ.ა) ერთობლივი სამეცნიერო-ტექნოლოგიური კომისიის შექმნას;
 - ბ.ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გაერთიანებული სამხედრო-სამეცნიერო საბჭოს შექმნას;
 - გ) უზრუნველყოფენ ერთობლივი, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალ „სამხედრო თეორიის“ დაფუძნებას.

4. წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე, მხარეები საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებენ გეგმას, სადაც განისაზღვრება ორმხრივი თანამშრომლობის კონკრეტული სფეროები და დეტალები.

5. მხარეები თანხმდებიან, რომ საჭიროების შემთხვევაში გაცვლიან ინფორმაციებსა და საჭირო მასალებს, ასევე ყველა საინტერესო სიახლეს დროულად აცნობებენ ერთმანეთს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. წინამდებარე მემორანდუმი უვადოა და მოქმედებს მასზე ხელმოწერის თანავე.

7. მემორანდუმის შეწყვეტა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს შეწყვეტამდე 3 თვით ადრე. მემორანდუმის შეწყვეტამ არ უნდა იქონიოს გავლენა იმ საქმიანობაზე, რომელიც ხორციელდებოდა მემორანდუმის შემოღებამდე.


მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან. ყოველივე ზემოაღნიშნულს ვადასტურებთ ხელმოწერით:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი



გიორგი კვესიტაძე

საქართველოს თავდაცვის
მინისტრი



ირაკლი ალასანია